თებერ. 1934 წ.

# ნიანგი

№3 ფასი 40 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნ. ძოწიაშვილის.

## ახალი აღმოჩენა

— გაიგე, ჩვენს სოფელში რომ ნავთი აღმოუჩენიათ?
— რას ამბობ, კაცო? სად? რა ადგილას?
— კოოპერატივში! ნოქარს ბა დაუმალავს!




— ჩვენი წარმოება არ არის დიდი წარმოება. ერთი შეხედვით იგი სრულიად უმნიშვნელოა. მაგრამ, ამხანაგებო, ეს ასე არ არის. ჩვენი ვეებერთელა ქვეყანა პროლეტარიატს ეკუთვნის; იგია დღეს ცხოვრების ბატონ-პატრონი. პროლეტარიატმა კულტურულად უნდა იცხოვროს. ამას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კულტურული ცხოვრების საუკეთესო დამახასიათებელია სისუფთავე, ჰიგიენა. ამისათვის კი საჭიროა სხვა ნივთებთან ერთად ტანსაცმელის, ფეხსაცმელისა და იატაკის ჩოთქი.

— კბილის ჩოთქიც! — წამოიძახა ერთმა.

— დიახ, კბილის ჩოთქიც. წინათ კბილს მარტო ბურჟუები იწმენდდენ, მაგრამ ახლა პროლეტარიატიც იწმენდს. ჩვენი წარმოება მოწოდებულია დაამზადოს ყოველგვარი ჩოთქი და მით გააღრმავოს კულტურული რევოლუცია. სულ ახლო ხანში ჩვენ სავსებით უნდა დავაკმაყოფილოთ ჩვენი ბაზრის დიდი მოთხოვნილება და დავამზადოთ საექსპორტო მარაგიც. აი, ეს არის, ამხანაგებო, ჩვენი მოვალეობა! — დაამთავრა სიტყვა თანამშრომელთა საერთო კრებაზე წარმოების მმართველმა პიმენ ფაფხურაძემ.

ცხრა საათზე პიმენ ყოველთვის წარმოებაში იყო, ყველა თანამშრომელს დაენახვებოდა და სათითაოდ მიესალმებოდა. შემდეგ სადღაც გაქრებოდა და პირველ საათზე ისევ გამოჩნდებოდა. მის კაბინეტში დღეში ორ-სამჯერ მაინც გაიმართებოდა თათბირი, იწერებოდა ოქმები და დგებოდა გეგმები.

უგეგმოდ მუშობა დაღუპავს წარმოებას. კარგად შედგენილი გეგმა გამარჯვების თავდებია! — ხშირად იტყოდა ხოლმე ფაფხურაძე თანამშრომლებში.

— ეს ყველაფერი კარგი, ამხანაგო პიმენ, მაგრამ ჯაგრის შეძენაზე უნდა ვიზრუნოთ. თორემ კარგად შედგენილი გეგმა ვერ გვიშველის. ქარხანა გაჩერებულია მასალის უქონლობის გამო.

— ჯერ ჯაგარი რად გვინდა, როცა, საჭიროა ხე-ტყე არა გვაქვს. სახლს სახურავი ბოლოს უნდა დავახუროთ, ჩემო ვასო. ჯერ ხე-ტყე უნდა შევიძინოთ! — უთხრა ფაფხურაძემ.

გაიგზავნა მიწერილობა ხე-ტყის მასალების შესახებ.

შეძენილი იქნა საჭირო ხე-ტყის მასალა

— ჯაგარს უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება! — მოაგონეს ფაფხურაძეს.

— ჯერ საჭირო ბაზარი არ გვქონებია და ჯაგარი რად გვინდა! სახლის აშენება საძირკველიდან იწყება. საჭიროა, ამხანაგებო, ბოლშევიკური გაქანება და ყველაფერი გაკეთდება

— ყველაფერი მზად არის გარდა ჯაგრისა! — მოახსენეს ფაფხურაძეს.

— აბა ახლა შევუტიოთ ჯაგარს! ხვალვე დავინიშნოთ სპეციალური თათბირი და ერთი თვის განმავლობაში თვითეულმა თქვენგანმა კონკრეტული გეგმა წარმომიდგინეთ ჯაგრის დამზადების შესახებ! — გააფრთხილა ფაფხურაძემ მუშაკები.

გაიმართა სპეციალური თათბირი, სადაც მოსმენილი იქნა უამრავი გეგმები ჯაგრის დამზადების შესახებ.

— კ.. მაგრამ რამდენი ჯაგარი იშოვება ჩვენში? — იკითხა თათბირზე ფაფხურაძემ.

— ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ...

— როგორი აზირებულად ლაპარაკობ, შალვა, — შეაწყვეტინა სიტყვა მმართველმა. — ისე ამბობ, თითქო ღორის გარდა სხვა საქონელსაც ჰქონდეს ჯაგარი!

— არც ყველა ღორის ჯაგარი ვარგა! — დაუმატა ერთმა.

— საქმეც ამაშია. ჩვენი ღორების ჯაგრით ჩვენ შორს ვერ წავალთ! — დაუდასტურა მმართველმა.

— მაშ რა ვქნათ? — იკითხა ვილიკამ.

— მთავარია, ამხანაგებო, ნედლეულის ბაზის მოწყობა. მე მგონია, რომ ჩვენ ხელშეკრულება უნდა დავდვათ მონადირეთა კავშირთან! — წინადადება შემოიტანა ფაფხურაძემ.

— მონადირეთა კავშირი რა შუაშია?! — გაუკვირდა მდივანს.

— იმ შუაშია, ამხანაგებო, რომ მონადირეებს შეუძლიათ დახოცონ გარეული ღორები და ჯაგარი ჩვენ მოგვაწოდონ.

— მე ჯერ არ მინახავს, რომ ჩვენ მონადირეებს გარეული ღორები მოეკლათ.

— ჰო არც მე მინახავს, — დაუდასტურა ფაფხურაძემ, — მაგრამ სტიმული უნდა მივსცეთ და წავახალისოთ. აქ საჭიროა მხოლოდ ტემპი

— ბარემ ღორების მოშენება დავიწყოთ! — იხუმრა ერთმა.

ეს კარგი აზრია. — მოეწონა მმართველს. — ამ რაციონალური წინადადებისთვის შენ საჩუქარი გეკუთვნის. მოვაწყოთ ღორების მეურნეობა. მაშინ ჩვენ ჯაგარიც გვექნება და ადვილად გადავჭრით ხორცის, ქონისა და ტყავის პრობლემას. აი, ეს იქნება ტემპი.

— მანამდე რა ვქნათ? — შეეკითხენ მმართველს.

— ხე-ტყის მასალიდან ავეჯეულობის კეთება დავიწყოთ, ხოლო ნაწრიდან — გამაკების! — გასცა განკარგულება და ქარხანაც შეუდგა მუშაობას

—იორკშირის ღობეს აქებენ, ისინი მოვაშენოთ! — თქვა ფაფხურაძემ როცა მეურნეობაში ღორები დაათვალიერა.

შეიძინეს იორკშირის ჯიშის ღორები..

მაგრამ გამოირკვა, რომ მათ ჯაგარი სრულიად არა აქვთ. სამაგიეროდ ბევრ ხორცსა და ბევრ ქონს იძლევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონკრეტული ღია ბარათი

## თბილისის ტელეფონის ქსელის მუშაკებს

ჯერ კიდევ 1931 წლის ზაფხულში მეტად „ჩქარი ტემპით" მიმდინარეობდა მუშაობა თბილისში ახალი ტელეფონის სადგურისთვის ბინებზე მავთულების გასაყვანად.

ჩემს ბინაზედაც მოვიდენ მავთულის გასაყვანად. თუმცა მუშაობაში მათ სიჩქარე არ ეტყობოდათ. მაგრამ დაუდევრობას კი დიდი ჰქონდა ადგილი! კედლის გაბურღვის დროს ჩამოანგრიეს ჩუქურთმის ლამაზი გრეხილი. რომელიც ცოტაოდენი სითრთხილით მოპყრობით არ ჩამოიგრეოდა.

როდესაც ამის შესახებ შენიშვნა მივეცი. მათმა ხელმძღვანელმა პირდაპირ დაცინვით ტლანქი და თავხედური პასუხი მომიგო. როდესაც მისი გვარის გაგება მოვინდომე. მან არ ისურვა თქმა. მხოლოთ მისი თანამშრომლებისგან გავიგე, რომ ის ივანოვი იყო

ამ შემთხვევის შესახებ მაშინ მივწერე ფოსტა - ტელეგრაფის ხელმძღვანელებს და კავშირგაბმულობის პროფკავშირს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეთქან მივიღე პასუხი, რომ საკითხი ივანოვის მოქმედების შესახებ განხილულ იქმა და მას გამოეცხადა საყვედური.

კარგი და პატიოსანი! საქმე ამოწურულად ჩავთვალე მე, მაგრამ ივანოვმა კი სწორეთ ამ დროიდან დაიწყო აჩქარებული ტემპით მოქმედება! ჩემი ტელეფონები,—როგორც ბინაზე, ისე დაწესებულებაში,—ამ დღიდან დაყრუვდენ, დამუნჯდენ. მოიტეხეს ენა. ანდა რაღაც გაუგებარ დიალექტზე დაიწყეს ლაპარაკი*).

არავითარმა ჩემმა შუამდგომლობებმა ფოსტა - ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის ხელმძღვანელებთან არაფერი სანუგეშო შედეგი არ მომცა, რის შემდეგ იძულებული გავხდი მომეკეცა თითი, მომეხარა ქედი და პრესაში საგანგებო ღია წერილით მიმემართა ივანოვისთვის, რათა ეკმარებინა ჩემთვის ამდენი შურისძიება!

ვფიქრობდი, რომ ივანოვს აღმოაჩნდებოდა ცოტაოდენი ნამუსი და ამის შემდეგ გამოასწორებდა დანაშაულს ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ მოვტყუვდი!

ჩემსა და ივანოვს შორის მომხდარი პირველი „შეტაკების" შემდეგ გავიდა სამი წელი და გადავდგით ფეხი მეოთხეში. ახალი ავტომატიური ტელეფონების სადგურის დამთავრების საქმე თბილისში რიკოვის ტემპით მიმდინარეობს!

ჩემი ტელეფონები კი,—როგორც ბინაზე, ისე დაწესებულებაში,—არც რიკოვს, არც ამიერკავკასიის და საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის ხელმძღვანელებს, ეტყობა, არ ემორჩილებიან არამედ ივანოვის სრულ განკარგულებაში და მორჩილებაში არიან!

ერთხელ მოვიხადე პრესაში ბოდიში ამ ივანოვის წინაშე, მაგრამ მის მაგარ შუბლზე ამან არავითარი გავლენა არ იქონია, ამიტომ მეორედ ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ!

ეხლა მხოლოდ მსურს მივმართო თბილისის ტელეფონის ქსელის მუშაკებს შემდეგი სიტყვებით: არის ერთი ხალხური ანდაზა, — „ერთმა ლორმა ცხრა ქვევრი წაბილწაო!".

ივანოვზე მე გავათავე, — იქნებ ვინმე სხვამ განაგრძოს!

**ს.—თია.**

---

*) **ნიანგის შენიშვნა**
მე რა დღეში ვარ ჩემი იკითხე [illegible] გადიოდა სამ წელზე მეტი. (ჩემი [illegible] ნომერია არის ოცდა მეცხრე და ოცდა თოთხმეტი) და ამ სამ წელში ის მუშაობდა ლაპარაკობით ექვს დღეს ნამდვილად. სხვა დროებში კი ლორმა [illegible] და დღესაც ძონავს ცხონებულს ტაბულად!

---

— ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია საპნის დამზადება! — გადაწყვიტა ფაფხურაძემ.

— ეს რა ჩვენი საქმეა? — გაიკვირვეს ზოგიერთებმა.

— აი სად გამომჟღავნდა თქვენი ოპორტუნისტობა ჩემო ანტონ და ნესტორ. თქვენ გგონიათ, რომ პროლეტარიატს არ სჭირია საპონი? საპონი უფრო საჭიროა კულტურული ცხოვრებისათვის, ვიდრე ჩოთქი. თქვენ. მეგობრებო, არა გაქვთ გაქანება.

შეუდგნენ საპნის დამზადებას.

— რადგან ქონიდან სხვა და სხვა სითხოვანი ზეთის დამზადებაც შეიძლება. ბარემ ესეც დავამზადოთ!— თქვა მმართველმა.

— საჭირო იქნება მცენარეულობა

— მოვაშენოთ! — ხელი დაკრა მაგიდაზე დასტურის ნიშნად. — საჭიროა გაქანება. და ჩვენ შევძლებთ პარფუმერიის გამოშვებას. დიახ ამას უნდა მივაღწიოთ. მეორე ხუთწლედის ბოლოს ხალხის მატერიალური მდგომარეობა ისე მაღალ დონეზე იქნება. რომ „ოდეკოლონი და „დუხი" აღარ იქნება ფუფუნების საგანი. ამ მდგომარეობისთვის ჩვენ ახლავე უნდა შევუდგეთ მზადებას. აქ საჭიროა გაქანება. და ჩვენ უკან ჩამოვიტოვებთ ცნობილ ფრანგ პარფიუმერ კოტის. რომელიც ჩვენი დაუძინებელი მტერია.

ვინ იცის სად მიიყვანდა ფაფხურაძეს თავისი „გაქანება", რომ მას ტრესტიდან კომისია არ სტუმრებოდა.

— როგორ შიასრულეთ ჩოთქების დამზადების გეგმა?

— რისი ჩოთქები? — გაუკვირდა ფაფხურაძეს.

— თქვენ ხომ ჩოთქები უნდა დაგემზადებიათ!

— ჰო, ეს წინად იყო ჩვენს გეგმაში, მაგრამ ჩვენ გადავდგით და გადავედით სხვა და სხვა ნაწარმის დამზადებაზე. როგორიც არის. ავეჯეულობა. გამაკი, საპონი, პარფიუმერია და სხვა.

— სად ჩოთქი და სად ესენი? — გაუკვირდა კომისიას.

— ენერგიულმა მუშაობამ და გაქანებამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და...

მეორე დღის. როცა ფაფხურაძე ტრესტში გაიწვიეს. იგი იქიდან ქარხანაში აღარ დაბრუნებულა

**ისალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი აწყობს წუნის გამოფენას













**ხარისხისათვის ბრძოლის მიზნით „ნიანგის“ რედაქცია აწყობს თავის ფურცლებზე მახლობელ ნომერში წუნის გამოფენას.**

**რედაქცია სთხოვს ნიანგის თანამშრომლებს და მკითხველებს მიაწოდონ ჩვენს ჟურნალს სხვადასხვა წარმოებათა მიერ გამოშვებულ წუნდებულ საქონელის ნიმუშები, როგორიც არის·**

**„მკერავის“ ფაბრიკების მიერ გამოშვებული ხალათები, რომ**ლებსაც ცალი სახელო მოკლე აქვთ, ცალი გრძელი; **პალტოები,** რომლებიც მე-13 საუკუნის ან უკეთ, რომ ვთქვათ აკაკი წერეთლის ნათელას მიერ შეკერილ ჩოხის მოდაზე არის „ჩამოსხმული!“

**„წელში ვიწროა, წერწეტი,**
**ბეჭებში განიერია“.**

ესე იგი **„ალაჩარლსტონის“** მოდაზე არის შეკერილი!

**„საქავეჯის“** მიერ გამოშვებული ზოგიერთ დგამების ნიმუშები, განსაკუთრებით სკამები, რომლის მოჰხმარებელიც დაჯდომისთანავე მაღლა იშვერს ხელს და არა მარტო ხელს.

**„სახელგამის“** სტამბაში დაკინძული წიგნები, რომელშიაც ნინოშვილის „სიმონა“ ლოგარითმული ფორმულებით მთავრდება და პითაგორის თეორემა კი ილიას „კაკო ყაჩაღით“ არის დამტკიცებული.

**ფეხსაცმელები** რომლებიც დილას თუ მთელი ჩაიცვი, საღამოზე რომ დახედავ კბილებ-დაკრეჭილი შემოგხედავს გაბრაზებული ძაღლივით.

**ცომი პური, „სურნელოვანი“ ძეხვები, აუნთები ასანთი, პაპიროსი და სხვა.**

**ორთქლმავლების, ტრამვაის ვაგონების, ტრაქტორების და ავტოების ნიმუშები,** რომლებიც სახელოსნოებიდან გამოშვებისთანავე შეკეთების „მაღალი ხარისხიანობის“ წყალობით უკანვე ბრუნდებიან.

**გამოგზავნეთ** ბრტყელ-ბრტყელ და ძილის მომგვრელ მოხსენების ნიმუშები.

**გამოგზავნეთ** გაცდენების, ცრუ-დამკვრელების, კომყოყოჩობის, ბიუროკრატობის და მოლაყბეობის ნიმუშები.

**წუნდებულ საქონლის ფოტო სურათიდან ერთად უნდა დაასახელოთ წარმოება, ან დაწესებულება, რომელმაც წუნი გამოუშვა: საამქრო, განყოფილება, შეძლებისდაგვარად გვაცნობოთ კონკრეტულ დამნაშავეთა ვინაობა, აღნიშნოთ მათი სახელი, გვარი, მუშაობის სტაჟი და სხვ.**

**წუნის გამომშვები პირები და ორგანიზაციები დაჯილდოებული იქნებიან „ნიანგის ორდენით“ და რედაქციის მიერ აღძრული იქნება აგრეთვე შუამდგომლობა პროკურატურასთან და სასამართლო ორგანოებთან მათი მხრივ ზემოაღნიშნულთა შესაფერ დასაჯილდოებლად.**

**ის პირები, რომლებიც ჩვენს რედაქციას მიაწოდებენ წუნდებულ საქონლის საკმაო ნიმუშებს** (შეძლებისდაგვარად დამნაშავეთა აღნიშვნით) **უფასოდ მიიღებენ ჩვენს ჟურნალს 1934 წლის დამლევა-მდე.**

**წუნის გამომშვებთათვის დასაჯილდოებლად გამოშვებული იქნება განსაკუთრებული „ნიანგის ორდენი“ წარწერით:**

**„წუნის გამოშვებისათვის“.**













# ორმოცდაათი წლის „ბავში“

წარმოიდგინეთ თავი საბავშო ბაგაში!

თქვენი დედა საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს. თქვენ ისე პატარა ხართ, რომ „რ“-ს ვერ ამბობთ. „პული“, „ლძე“, „კალაქი“ — იძახით თქვენ და გაწვდიან პურსაც, რძესაც და კარაქსაც.

თქვენი ლექსიკონი შესწავლილი აქვთ მომვლელებს. თქვენი ყველას ესმის, თქვენ კი ბევრი რამ არ გესმით მოზრდილების ნათქ[illegible].

თამაშობთ და ჭამთ. ეს არის თქვენი ცხოვრების შინაარსი. ატირდებით, თუ ვინმე გაწყენინათ, მოგეფერებიან და დაწყნარდებით. თქვენი ტოლების ჟივილ-ხივილში დრო შეუმჩნევლად გადის და სამუშაოდან [illegible] ლი დედა უცებ მოადგება კა[illegible] [illegible]ით [illegible] სიხარულია, დედაც ჩაგიკრავს გულში, ჩაგკოცნის, თქვენ მიაძახებთ: „დედა ლა მომიტანე?“ და დედაც ჯიბიდან იღებს შენთვის წამოღებულ ვაშლს. ან მსხალს. ეს სულ ერთია. თქვენს სიხარულს საზღვარი არა. აქვს გამუსხლტებით დედას ხელიდან და ხტ[illegible]ბით შეექცევით ვაშლს თუ მსხალს, ეს სულ ერთია.

ასე მიდის დღეები. საბავშო ბაგაში შენისთანა 40 ბავშვია. ორმოცივე კმაყ[ოფი]ლია, ორმოცივე მაძღარია, ყველამ ი[ცი]ს, რომ უხვად არის თაროზე რძეც, კარაქიც, პურიც, თაფლიც, შაქარიც.

მაგრამ თქვენს ბაგას შემოეჩვია ერთი მშუნაგი შეჭალარავებული „ბავში“. თქვენ მას ძიას უძახდით. როცა შეხვდებოდით, მაგრამ ახლა საბავშო ბაგაშია თქვენთან ერთად და „ძიას“ დაძახება გეძნელებათ.

„პული“, „კალაქი“, „ლძე“ — იძახით თქვენ! აღარც პურია, აღარც კარაქი და

მაგიერ მოზარმულ მარილ-წყლიან ლო[ბიოს]

— „ალ მინდა“, „ალ ვჭამ“ — იძახით თქვენ.



აღარც რძე თქვენთვის, გაძლევენ კარაქის მაგიერ მოზარმულ მარილს წყლიან ლობიოს.

— თუ არ ჭამ პირი მოგჭამე — მოგაძახებენ შეჭალარავებული „ბავში“, რომელიც ილუკმება პურს, კარაქს და თაფლს რომ აქვს ბლომად ვადაგლესილი.

თქვენ ტირით. შეჭალარავებული ბავში დაიჩხავლებს ვეებერთელა სასმისში რძეს და დააყოლებს კარაქიან პურს. თქვენ შემოეხვევით გარს ორმოცივე და აწყენთ მას გაბრაზებით, მაგრამ შეჭალარავებული „ბავში“ სანამ არ ჩასანსლავს ყველაფერს — არ მიდის.

გაინტერესებთ თქვენ და ჩვენს მკითხველსაც, ვინ არის ეს შეჭალარავებული „ბავში“.

ბავშია მართლაც თუ ბავშია, რატომ აქვს წვერ-ულვაში და ისიც შეჭალარავებული? რატომ არის ასე დიდი? თუ დიდი კაცია, რატომ დადის მუდამ საბავშო ბაგაში და რატომ ჭამს ბავშვების ულუფას? რატომ არის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშო ბაგის კმაყოფაზე?

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშო ბაგის ბავშვებს ვაცნობებთ, რომ ეს მშუნაგი შეჭალარავებული „ბავში“ — მართალია მშუნაგია, მაგრამ ბავში არ არის, ეს არის 50 წლის კაცი. თანამდებობით ამავე საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე მ. სახლუა. ის იმიტომ ჭამს ბავშვების ულუფას, რომ ჭამა-ყლაპვის წულისთვის გაძვრა მუშკომში.

ნარაზენელ ბავშვებს წინადადებას აძლევს „ნიანგი“ მთელი სიბრაზით და ძალღონით „აწყნონ“ მ. სახლუას მანამდე, სანამ ნიანგი ჩავიდოდეს ნარაზენში. მერე კი „ნიანგმა“ იცის და მისმა ხახამ!

**საგეირ-ბენ-შეიხ.**

# ახალი ჯა

ეკონომიურ[illegible] კ[illegible] ზისი წარა-მარა იწვევს კაპიტალისტური ქვეყნების ვალიუტის მერყეობას. ამიტომ ხდება მთავრობისა და განსაკუთრებით ფინანსთა მინისტრების ხშირი ცვლა.

# მგაზი

მან. მარიაშის.

**— როგორც ჩანს, კარგი ჯამბაზია, მაგრამ ეტყობა კისერს მაისაკ[illegible] [illegible]!**



მარიაში. 34.

# იხუმრა

ხელოსნების მუშაკთა დახურული გამანაწილებელი კარგა ხანია, რაც არსებობს, მხოლოდ ცოტა ხანია, რაც შიგ პასუხისმგებელ გამგედ არის თედო ძაგნიძე.

— პასუხისმგებელი გამგებელი. გაყიდვას რაღა პასუხისმგება უნდა, აწონე, მყიდველს ფული გადაახდევინე და გათავდა. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ უნდა ერქვას ხელოსნების მუშაკთა კოოპერატივის დახურული ეს აღარ მესმის. ერთი ფაქი ხომ მასიბში აშკარად მუშაობს და სხვა—მუშაობდა თედო თავის ამხანაგებთან რესტორანში. შებრაწულ ქეხვებს ათარიზედ ეტანებოდა,—ცოტა ნაკლები ვჭამოთ, თორემ სიფრთხილეც კარგი საქონელია—არიგებდა ამხანაგი.

— ჰმ, მე თუ მკითხავ საქონელიც კარგი სინდისია. თუ საქონელი გაქვს, მაშინ სინდისი რაღა შუაშია. კოოპერატივი დახურული იმიტომაა, რომ შენც დახურულად იმუშაო—მსჯელობდა ძაგნიძე.

— დღეს ერთი კილო თევზისატე. ეჰ, ჩემო, გენაცვალე, დღეს დახურულში კარგი რამე, არ მოიტანა? გუშინ რომ გოჭი მომიტანე, მას კუდი არ ჰქონია და აღარ შევჭამე: უკუდო გოჭი არ მიყვარს. ასეთი აბრეშუმის კაბა არ შეშვენის შენს ცოლს და იმიტომ არ მომწონს.—უჩურჩულებდა ცოლი თედოს და ტკბებოდა, როცა თედო მაქნიბარ ძალლივით ალმაცურხებდა ულვაშებს.

კოოპერაციის მთავარი ამოცანაა საქონლის ბრუნვა. ძაგნიძემ ასე გაიგო ეს ამოცანა: სხვას რად უნდა ვაბრუნებინო საქონელი, ამას ჯობია მე თვით უყო რეალიზაცია—და საქონლის ასორტიმენტის შერჩევა მას არც გაჭირვებია. ასე ბითუმად მიაბრძანა დახურულ კოოპერატივიდან თავის ოჯახში.

— „მაღაზია № 8 გამგე ამხ. კარაპეტიანმა მივიღე ძაგნიძისაგან 6000 მანეთის მანუფაქტურა“,—დასწერა ძაგნიძემ და ვითომ ხუმრობით წარუდგინა კარაპეტიანს.

— რას ამბობ ბიჭო, მე როდის წავიღე შენგან რამე.

— არა, ისე ხუმრობით ვაწეროთ ხელი ხელწერილებზი. ვივარჯიშოთ, საქმე მაინც არაფერი გაქვს—სიცილით უთხრა თედომ და კარაპეტიანმაც გაკრა „მინისტრული“ ხელი ხელწერილზე. თედოსაც ეს უნდოდა და შეუმჩნევლად ჩადვა ხელწერილი ჯიბეში. სხვა ოინებსაც მიმართავდა თედო, მაგრამ...

— ეს მაგრამაა, რომ ლუპავს საქმეს და ჩვენი „კოოპერატორი“ თედოც სასამართლოს მარწუხში მოხვდა.

— ამხანაგო სუდია! შენ არ მომიკვდე, გეფიცები ჩემს ცოლს, რომ მე 8861 მანეთი მარტო არ შემიჭამია. ზამთარში ხომ იცი რამდენი სტუმრობა აქვს კაცს, ყველას პატივისცემა უნდა და მეც ეს ფული მათზე გავიხმარე, მით უმეტეს მათში დამკვრელებიც ერიენ. დამკვრელებს ხომ უპირატესი მომარაგება და ჭამა უნდა. მომიტევეთ და აწი აღარ ვიზამ, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში.—სთხოვა სასამართლოს.

სასამართლომაც „მიიღო“ მხედველობაში თედოს პატიების განცხადება და „აპატია“ მას დანაშაული, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის 10 წელს იმყოფებოდა გადასახლში და დაუყოვნებლივ დაფარავს შეჭმულ თანხას.





— ბაიძახიან: ისტორიული ძეგლები უნდა დავიცვათო, და ასეთ სახლს კი ანგრევენ!
— ეს რა ისტორიული ძეგლია?
— როგორ არა! ათი პატრონი და ოთხმოცი კომენდატი გამოიცვალა და კედლები მაინც შერჩა.

თედოს თუ დღემდე ყოველ ფეხის გადადგმაზე ამხნევებდნენ ამხანაგები, ახლა, როცა შეეკითხებით—იცნობენ თუ არა იარით ძაგნიძეს, ასეთ პასუხს იძლევიან:

— ვინ, ძაგნიძე, პირველად გვესმის ეგ ეთი გვარი, სად გვცალია ჩვენ მასეთ ვიგინდარა ოხერისათვის.

მკითხველს აინტერესებს კარაპეტიანმა ხელწერილის მიცემით მართლა იხუმრა, თუ „იშკილი“ გააკეთა. ჩვენ ეს გვეეჭვება, რომ საგულდაგულო ხუმრობა არ იყოს და რომ დღემდე არ განაგრძოს კარაპეტიანმა ეს ხუმრობა.

**ივანიკა.**


მზადდება

სპეციალური

ქეთაისის

ნომერი

# როდის ალაპარაკდებიან მუნჯები

ქუთაისის რადიოგაზეთის რედაქციაში „სტალინის გზით" გაცხოველებული კამათი მიმდინარეობდა. რედაქტორის მოადგილე სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებს უტევდა. მოკამათეები მას მხარს უჭერდენ და ახალ-ახალი ფაქტებით რადიო-გადაცემის პრაქტიკიდან, აგიზგიზებულ ცეცხლს ნავთს უმატებდენ.

რამ აალელვა რადიოს მესვეურნი და მოყვარულნი?

თათბირს უთუოდ აქვს აღელვების საფუძვლიანი მიზეზი. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება: დამუნჯდა რადიო.

ქუთაისის რაიონის მთელ რიგ სოფლებში რადიო არ ლაპარაკობს. ქუთაისის რადიო-გადაცემი: კომიტეტი, რადიო-გაზეთი წელებზე ფეხს იდგამენ, მიკროფონთან ყვირილით [illegible] აქვთ. რაიონის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კვანტრე კი სდგას დამუნჯებულ რეპროდუქტორთან და ყვავების ჩხავილის აკომპანიმენტის ქვეშ მღერის, „სიმონიკა გოცაძის კილოზე:

**მისთვის მიყვარს რა-დი-ო.**
**დაჩუმება ი-ნე-ბა.**
**რამდენიც გინდა მლანძღეთ —**
**მე არ მესმის გინება.**
**სიმონიკა გოცაძე!..**

ამხ. კვანტრე მარტო არ არის. მას ბანს ეუბნებიან სოფლის საბჭოების თავმჯდომარეები ფარცხანაყანევიდან, ქვიტირიდან, მოხვანიდან, არაიიდან, მესხეთიდან და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენ სოფლიდან.

ხოლო საბჭოთა მეურნეობა „საზნიარადან" ისმის დირექტორის და მუშკომის ზესტაფონური დუეტი იმავე „სიმონიკა გოცაძის" ხმაზე:

ვიბრძვით კულტურისათვის...
კარგი ცხოვრები-სა-თვის.
რადიო არ გვაქვს დადგმული
და ამით ვართ გალანძღულნი
ნამირამანა გოცაძე...

სოფლებს მხარს უჭერს ქალაქიც. ქუთაისში არის ასეთი ორგანიზაცია: „ლიტოპონი". იქ საინტერესო ცდები სწარმოებს. რადიო რეპროდუქტორები გამოწყობილია სუფთა ჰაერზე. კულტმუშაკები დიდ სამეცნიერო კვლევა-ძიებას, — აწარმოებენ. ისინი არკვევენ: რა გავლენას მოახდენს წვიმა. მზე და ქარი რეპროდუქტორზე, დაიჟანგება თუ არა? „ცდის" შედეგებიც თვალსაჩინოა: ყველა რეპროდუქტორები დაიჟანგა.

„ნიანგს" აინტერესებს ერთი საკითხი: სანამდე გაგრძელდება ლიტოპონისტური ცდები? როდის ალაპარაკდებიან მუნჯები?

**გრ. ბათომელი.**



რომ თვალსაჩინოდ გადაიქცა ჩვენში ყოველი.
მას გვიდასტურებს შინაური და უცხოელი.
მაგრამ რაიონის სადგურს დღემდე არა ეშველა
დამეთანხმებით ამაში მე, ვფიქრობ, თქვენ ყველა!

ვინმე ჯიუტი თუ მაინც არ დაეთანხმება,
თვითონ იხილოს. არ სჭირია ჩემი თანხლება!
კარიკატურა დონის მხოლოდ მის ნაწილს ხატავს,
თავის თვალებით ადგილზე რიგ რასაც ის ნახავს!..

# ამირანის ძმობილი



**გოგია იამანიძე:** გამი-გონია, რომ ბადრი იამანიძე ამირანის ძმობილი იყო. ბადრი არ მქვია, თორემ იამანიძე მეცა ვარ. რით ვარ მასზე ნაკლები. არც მე მყავს ამირანზე ნაკლები ძმობილები.

მიზრძანეს წერა ამბისა საამოდ მოსასმენისა.
მე კი შიშით შეგყურებ, დაკარგა არ ძალმიძს ენისა.
მაგრამ უნდა ვთქვა ამბავი მოღვაწეობის შენისა,
ყური მათხოვე, გოგია, ძალა თუ შეგწევს სმენისა.
აქ მოგახსენებ ყოველსა, რაც გულში ნაგუბარია.
ცა გქონდა, გოგი, ფაფახად, ჩექმებად — მთა და ბარია.
ნუ აღელდები, მისმინე შენზე შეთხზული არია,
ვა, რომ ბოლო დროს პრესამა შენი ზეიმი არია.
დიდთა მფლანგველთა შორისხარ, გოგი, ვით ბოძი სობილი.
შენ ხარ მფლანგველთა ნუგეში. ხათი მცველი და ძმობილი.
შენსკენ ისწრაფის სიმდიდრე. ქიფი, ავტომობილი.
ამქრების მიერ შენა ხარ „მარნის ვარსკვლავად" ხმობილი.
ახალი წელი გათენდა, დილა ტკბილ სანეტარონი.
შენთვის კი გახდა ეს წუთი მწუხარებისა წყარონი,
ეს ამბავი ცუდია გულის არ გასახარონი,
დიდხანს იყავ და ახლაც ხარ მარნის ბატონი, ბარონი,
გოგია, შენზე ამბობენ:—რაც დაიგდა ის მარანშია,
ჯერ მისებურად ქუთაისს აბოს არ უპარავშია.
სამი წელია ქეიფობს, ჭამს რაც მოხვდება ყბაშია.
კოლია, ვარლამ, ქიქიკო გოგიას ტოლუმბაშია.
კოლიამ სძლია ვარლასა, ვითა ნაგაზმა ფინიას.
„მარანში" მომუშავეებს გადაუბრუნეს ტვინია.
ბომბ-ზარბაზნებსა ისვრიან. რათა მოიკლან ჟინია,
სამი წელია ბალახვანს არავის დაუძინია.
ნიანგო, თხოვნა ისმინე მარნის და ბალახვანისა,
შენ დაგვიფარე, ძალა გვეც დათრგუნვად ჩვენ სატანისა.
მოგვეცთ სამტრესტის სურვილი გოგიას გასატანისა,
მის ცოდვის შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა. **პ. ხასანოღლი.**

# ქუთაისი

**ჩვენი აღბილი ძღვეხანე არის უჯრედის მდივანი!**

საკოოპერატივო ქარხნის უჯრედის მდივანმა გვარად ასათიანმა ჩამოგლიჯა კედლის გაზეთი „დირექტორი ფილიას გამზეთი. როგორ ჰკადრეთ დირექტორსო ოქროფენიერის ტოლს და სწორსო. რომ მას უწევთ კრიტიკასო, სულ გაგაცლით თქვენ სიქასო.

დირექტორი ფილია ამით კმაყოფილია.

**ვისაცა აქვს ბრძენი ენა, იგი აღარ გვირდა ჩვენა!**

ასე ამბობდნენ:—ვისაც ბაქბუკიკლაობის ხოში, მოეწყვეთ ოქრონის ჯგუფს საავადმყოფოში. ქაშაქარაძე და ჩხეიძე იქ არიან, კვალიფიერი რომ არიან. ჩაერია ბოშოგლიჩიძი, შეეცვალათ სევდათ ლხინი. დაეკარგათ სამსახური, ჩამოუშვეს ცხვირი-ყური.

**ეს საწყალი ჩვენი კლუბი! შიგ თაგვებს აქვთ დოლი-ჩხუბი!**

დაგვეკარგა სარეწაო კოოპერაციის კლუბის გამგე სანდრო. (იობიძე არის გვარი). ვეძებეთ და არსად არის. ფული ყლაპა თურმე ბლომად და ქონებაც გასაძლომად. ნიშნები: ტყუილის გუდა ჰქვია, თითონაც „კაცი დიდია". უყვარს სმა და ლხენა და გრძელი აქვს ენა. **ჩლისტი.**

---

# გეჯეთი

გეჯეთსა კოლსკოლისა
შენობაა ძველი.
შეკეთებას არავინ ფიქრობს
... ხელი.
კედლები მთლად ჩანგრეულა,
დულია ხ...
თითქოს შებრალებას მთხოვდა
როცა დამინახა.
შიგ არ არის დაფა, სკამი,
არც მაგიდა მგონი,
სილათას ძილს შეუპყრია
იმისი პატრონი.
სახურავი არ უვარგა
დერეფანიც კიდევ...
სოფლის საბჭოვ გეჯეთისავ,
როდის გაიღვიძებ.

**ოჩიგა.**

# ზოგიერთის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო!

### დაკლული ინდაურის მოთქმა

ნახ. ქოქიაშვილის.



უბედურება, ე. ი. დაკვლა რომ მიმელოდა, ეს მაშინ ვიგრძენი როცა საჭმელი მომიმატეს და გასუქება დამიწყეს.

გერმანელი ფაშისტების სისტემით მომკვეთეს თავი ცულით. გამპუტეს. შიგანი გამომაცალეს, შემაჯდა ამოდენა ხალხი და გაემგზავრა ტფილისს ნათესავთან.

ერთი ავად არის და მას „გიგილოს აბანოში“ მკურნალობა ესაჭიროება. მეორეს ბრმა წელი ტკივა და ოპერაცია უნდა გაიკეთ. ს. მეხამე სტუდენტია და უნივერსიტეტში უნდა მოეწყოს. ყველა ესენი ბინაზე ნათესავთან დარჩებიან.

აი, ამიტომ დამკლეს და ძლვნად წამომიღეს ნათესავისთვის.

საწყალი ნათესავი! ჩემისთანა ინდოურს ტფილისში ბაზარზე 40 მანეთად იყიდდა, მთელ ოჯახს გააძღებდა. ახლა კი ჩემი თავი მას დაუჯდება 1000 მანეთი მაინც, და ამდენ სულში ჩემი ერთი ნაჭერი თუ ხვდა, ისიც კარგია.

მეგობარო ნათესავო, მე არაფერ შუაში ვარ, სულ ამათი ბრალია.

## დავითის აღსარება

— მე არ ვიქნები სიქთარვის ღვინის მარნის გამგე დათიკო მეცხრიკიძე, თუ დედა არ ვუტირო ჩემს მეგობრებს. ჩამციებიან: მარანი გადაქცეულია გარყვნილების ბუდეთ, მარანში 20.000 მანეთის ჭაჭა გაფუჭდაო, ამაშიაც მე მდებენ ბრალს. ღმერთმა იცის, რომ იმ ჭაჭის წახდენაში მარტო მე არ მიმიძღვის ბრალი, არამედ ტრესტის წარმომადგენლების—ლაჰკაპიანის და ამირანაშვილის ხელიც ურევია.

მეცხრიკიძე ლოთია და სამსახურში იშვიათად ცხადდებაო. თვეში რაღაც 15 დღე [illegible] თუ მექნება—ეს დიდი დანაშაულია. ყოფილი ვაჭარი ხარო, მუშების თევზი გაყიდე და კილოზე 2 მანეთი მოიგეო, მერე რა. ამით რაღაც 400 მან. ჩავიჯიბე. ეს საქმეა. მარნის 4 ვედრო სპირტი მითვისაო—ესეც დაუგდეთ ამ [illegible], ვაი თუ [illegible] გაიგონონ, რომ გლეხობისათვის მისაცემი ფართალი კოტე ფროფხაძეს ვუფეშქეშე.

არაფერია, იმას მაინც ვერ გამიგებენ, რომ მარნის მუშებს დღეში ყურძნის წურვაზე ვაძლევდი 7 მანეთს, ხოლო სინამდვილეში 9 მანეთი და 50 კაპ. უნდა მიმეცა.

დიახ, ვერ გამიგებენ და არხეინადაც ვცხოვრობ თავს.

ძოჩორა.

# ნიანგი ბათუმში

— გამარჯობა!—მომესალმა ვიღაცა და თავისი გრძელი კუდი მხარზე დამკრა.

— გაგიმარჯოს!

— იცი, თუ არა შენ, რომ „ნიანგი" თვეში სამჯერ გამოდის თებერვლიდან.

— მერე რა, თქვენ გგონიათ ბევრია?

— აბა, რა გინდა, კაცო!

— იმ შემთხვევაში, თუ გინდათ, რომ წლისმომწერმა თვეში სამჯერ მიიღოს „ნიანგი". საჭიროა თვეში ოცჯერ მაინც გამოდიოდეს.

— როგორ?

— როგორ და იქნებ ოც ნომერში ხელისმომწერმა სამი მაინც მიიღოს. ასე კარგად აქვს ჩვენ საგაზეთო ბიუროს დაყენებული მუშაობა.

— ახლა ერთი ეს მითხარი: რატომ ძლიერს არ გვიგზავნი?

— კაცო, დამეხსენებით? თუ რაიმე საქმეზე მოიძებნებოდა ამ ბათუმში. დაწყებული დიაკვანიდან გათავებული კოხტოვაშტაპომდე, ყველა გამოგიგზავნე და ახლა ვინ ეშმაკი გამოგიგზავნო?

— ნუ თუ ყველაფერი რიგზეა თქვენთან და თვეში ერთი ორი საქმილო მაინც არ გამოჩნდება

— ახლა, კაცო, რომ მოვდგე და ვთქვა, რომ ჩვენს საკოლმეურნეო ბაზარში ქიროს ბაყლები უფრო მეტი დაიარება. ვიღაცამ კოლმეურნეები. ტყუილი იქნება. ასე, რომ იქ ჩაშიდ მათ ჩამოტანილს ქოლიკაი წონიდაც და ბიზნოობაც დაიშლიბოდა. ის გრძ საბედნიეროდ. ეს ასე არაა. იაც ქილდბიკაკე აადგოონიმათ ჩვენი კულტურლობის იგი ახს კოოგადაც უყურებს და კოოგადაც ნედლეს. მაგრამ რა ჰქნას ჰას უთხრის—უყური სცდ მეურნეო ბაზარი, და ისიც უყურებს: საკოლმეურნეო ბაზარი ქი ჯერ არავის წაული

— კარგი. დაუშვათ. რომ მაგი არ დაიწერება. მაგრამ სხვა რამეებიც გამოჩნდება

— აბა ახლა რომ დავწერო. რომ ჰავთის მოუმზადებელი დახვდებ ბათუმში მეტაქი. ეს ტყუილი იქნება. ვინაიდან ახლამ თოო მზადებას ვერ სიდაც შეუდგებ. ლოზუნგები. პლაკატები. და კიდევ მაისში გააკრეს ამ მზადების შესახებ. მართალია, შიში არავის მოუმზადებია. მაგრამ ეს ეგონა რომ ზაფხულის სეზონს ჭამარის სოციევე მოყვებოდა. ახლა. მართალია. კაცლი არც ერთ დაწესებულებას (პროფკავშირის გამოკლებით) არ ოხთია. მაგრამ ამ სიცივეში ვინ შიშიათიმს!

— ი. მაგრამ.

— „კი. ძაგროამს" თავი. ფაბრიკე თუ ამბავი თუ ამბობ. რომ ზოგიერთ საბჭოთაებში კედლის გაზეთები წელიწადში ერთხელ გამოდის. ეს გაბლავს მართალია. მაგალითად ჩვენს დახურული კოოპერატივში, კედლის გაზეთის 1 ნომერი 6 თვის წინამა ეკიდა. ხოლო ახლა ჰქონდა ეკვსი თვეა თავუკულმა კიდია.. ანდა თუ ფაქტობრივ სანიტარულ მდგომარეობაზე დავწერო რამე. ძალიან შემცდარი ორია იყე გაიდის რაც კასრებ იძღვეწერით და მხოლოდ ახლა შეკვეთილდ რომ რანცამ თვეში გამოგიგზავნითო ახლა რომ ამაზე დავწერო, სულ ველარ ვკლიანებისა ჯანსრიცს. ჯაბრაზდებიან—რატომ გაგვწერეთ „ნიანგშიო"

— კარგი, კარგი, ვნახოთ!—არამაგი ჭში შენელობით თქვა ნიანგმა.

— შენ გენაცვალე. ჩემო ნიანგო, არაფერი დაწერო რა ვიამბო. თორემ საქმე უფრო გაფუჭდება.

ოგოლი.

# ნახუცარი

მგზავრებმა ერთმანეთი გაიცნეს.

ყველაზე მეტს ლაპარაკობდა სოფლის კოოპერატივის მოანგარიშე, კაცი 50—60 წლის.

„კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენ".—აგიტაციას ეწეოდა მგზავრებში იგი.—მე ამაში უშუალოდ დავრწმუნდი, ეს სრული ჭეშმარიტებაა...

ნაშუაღამევს თითქმის ყველას ეძინა მატარებელში.

ჩაეძინა მოანგარიშესაც.

ერთ სადგურში დიდხანს ვიდექით.

მძინარე მოანგარიშეს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა, ეტყობოდა ტკბილ სიზმარში იყო, მუცელზე ხელი გადაისვა.

მალე კიდევ დაირეკა ზარი. მოანგარიშე ზეზე წამოვარდა და გამალებით პირჯვრის წერა დაიწყო.

— ჩემი ეკლესიის ზარი... საწყალი სად ჩამოუკიდიათ!—ისევ მშვენიერი ხმა აქვს. — წამოიძახა მან და ღია ფანჯარაში გადაიხედა.

სიხარულმა გაანათა მისი თვალები და ნეტარებით აავსო მისი, გული, როცა სადგურში ნაცნობი ზარი დაინახა.

ბოლოს ორჯერ შემოჰკრეს ზარს და დაიძრა ჩვენი მატარებელი.

მოანგარიშემ ამოიოხრა და თვალი ზარს გააყოლა.

ახალი მგზავრი შემოგვემატა.

— ოო, ჩვენს მამაო ბართლომეს ვახლავარ.—მიესალმა დანახვისთანავე მოანგარიშეს ახალი მგზავრი.—ეს კაი გიქნია. მამაო, რომ ახალი რამ გაგიჩენია

— აელა ილაპარაკე, კაცო.—უთხრა მოანგარიშემ, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო.

— რისი გრცხვენია! კაცად ვახლოში სირცხვილი არ არის... სად მუშაობ ახლა?

— ჩვენი სოფლის კოოპერატივში

— ჰოო, სწორედ შესაფერი ადგილი მიგიგნია. კოოპერატივში იკითხოს. თორემ შენ რა გიჭირს. ამდენი ხნის ლოცვას გამოიმადლებია შენთვის. ძველი კოოპერატორი ხარ. წინად ეკლესია შენთვის იგივე კოოპერატივი იყო!

— სხვა, სახლში როგორ ხართ?—შეეკითხა ნახუცარი, რომ ლაპარაკი სხვა ამბავზე გადაეტანა.

ზმუკი.

# საშჯრელია

ქარხნის ეზოს ჭიშკართან
ჩანს ფარდული პატარა!
ვაგლახი და ... წვარე
ბევრი გადაიტანა.
მოლოდინი გულისა
ვერ შეცვალა თამარამ!
ნაკლი საბედისწეროო
ოდნავ ველარ დაფარა
ახობით კავს ნაცობი—
ათობითაც კი არა!
როცა მოესურვება,
მაშინ ძოდის თავადა.
და მაშინაც გაქრება —
ქიოდ გადაგვეყაროა!
ჩვენ მის ასით საქციელს
სწორედ ვითმენთ ალარა.
და დავკითხავთ დღეიდან
უხმო ფიქრის, ამარა!
ჩვენი ... ისათვის,
„ეპოში" აკითხოს თამარა...

შაგნელი ბზიკი.

# ახალგაზრდა მხატვრები

ილ. ზასიევის.



— რომელი კანონის ძალით მოითხოვ მომარაგებას? თქვენ ხომ სცენის მუშაკები ხართ, თამაშობთ და არა მუშაობთ



— თინა, მითხარი გარკვეული პასუხი — გამომყვები ცოლად თუ არა?
— რატომ არა, თუ კი ჩვენს კოოპერატივში ნოქრად მოეწყობი!

ბახ. რაზმაძის



— ამხანაგო, რატომ არ ემზადები თესვისთვის?
— ამბობენ: — რასაც დასთეს, მასვე მოიმკიო... თუ დათესილზე მეტს მოვიმკი, ხუცობა ხელს არ დამიჭერს!

ნაკ. ლომიძის



ამ ლატარიაში რომ პახპა... იქნე ბილეთს მთლად არ ვყიდდი?..

## ახალგაზრდა მხატვართა საყურადღებოდ

ამიერიდან ნიანგში სისტემატიურად დაიბეჭდება ახ. მხატვრების ნახატები, მოგვაწოდეთ შესაფერი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საღვ. ხვირი

„საღვ. ხვირის ბორიბი მოლარე ს. ჟვავანიშვილი მუდამდღე მთვრალია და მგზავრებს საჭირო ბილეთის ნაცვლად სულ სხვა სადგურის ბილეთს აძლევს. იგი ჯერეთვე ითვისებს ხურდა ფულს.

ქერა.

შეხეთ მოლარეს
ითვისებს ხურდას —



(იმედია რომ
არ ჩათვლით ქურდად!)
ნაპარავ ფულებს
არ აპნევს ცუდად,
დათრობა უყვარს
ღვინისთვის უნდა!

—:—

## ხოფ. ჩხარი-ეწერი

„ხოფ. ჩხარი-ეწერის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარემ ალ. აბულაძემ კოლექტივის წევრს შეპირდა სიმინდი და სანაცვლოდ გამოართვა ცხვარი, რომელიც მიითვისა, ხოლო სიმინდი კი არ მისცა.

—რა.



აბულაძევ ვაშა,
თავმჯდომარევ, ძველო
კაცის ქუდიანო
შენ ორფეხა მგელო!

## ზესტაფონი

„ზესტაფონის რაიონის, ს. დილიკაურის სას. საბჭოს მდივანმა ამბერკი კახნიაშვილმა გაფლანგა 3.000 მან.

ტყვრელი.

ეტყობა მადიანია
მდივანი, კაცი ქებული,
რომელსაც სამი ათასი
აქვს მხოლოდ „იმასქნებული“!




ცხადია თავის დიდ „შრომას“
მდივანი კარგად აფასებს!
და მუშგლეხნი ნეტავი
რას გვიპასუხებს ამაზე.

—:—

## ველისციხე

„ველისციხის სამკითხველოს გამგემ გაჰყიდა სამკითხველოს ღუმელი, ანაღები ფულით სატრფოს უყიდა საახალწლო საჩუქრები“

ლენტო.

შეხეთ, „სიყვარული“
კაცს რას აქნევინებს,
მუნჯსაც კი გარდაქმნის
ენას ათქმევინებს!



ზოგი გმირი ხდება
წადილს ვეღარ ფარავს.
ზოგიც „სატრფოსათვის“
ღუმელს მოიპარავს!

## ჭიათურა

მეც მინდა თავი დღეიდან
დამკვრელად გამოვაცხადო
და ზოგიერთის საქციელს
შავი ნილაბი აეხადო!

მოისმე: მოყვრობა და ხათრი,
არა მაქვს არვის რიდია,
თუმცა მაშინებს მე ცოტა
რაიონი მაქვს დიდია!

მაგრამ ვით დამკვრელს სჩვევია
ვეცდები წინ-წინ გავწიო,
და დასახული გეგმები —
ას პროცენტს ზევით ავწიო!

მრეწველობაში გარღვევას
აქვს, მართალია, ადგილი,
მაგრამ მის გამოსწორების
სურვილი გვაქვს და წადილი.

[illegible] ლიკვიდაციის
მუშის გარჯაა თავდები
თავგამწირული ყიჟინა,
გამობრძმედილი რაზმები.

თერთმეტ ნომერზე ჭილოფის
დროშამ რომ შექმნა წრიალი,
მალე გ[illegible]ხოს მის ნაცვლად.
წითელი დროშის ფრიალი.

ახალ მმართველებს ტრესტისას
ჯერ ვერ შევასხამ ქებასა,
ვუსურვებ მხოლოდ სიფხიზლეს.
გეგმების შესრულებასა!

მუშკოოპს კი დღეის რიცხვიდან.
ყურების გამოფხეკასა,
დროა შეუდგეთ ჩვენ აწი
მის საქმეების ჩხრეკასა.

პურის გზავნის მაღაროებში
მარგანეციან ურმებით,
ზევიდან წაფენილია
ტალახიანი ტომრები!

სირცხვილი სანიტარიას
ვერ გაახილა თვალია,
სისუფთავისა კონტროლი —
ეს ხომ იმისი ვალია!

სარეწკოოპს „საერთო შრომას“
განაგებს სევერიანი,
რუხაძე არის გვარადა:
ქაბუკი გამრჯე, ფხიანი.

შეკვეთებს იღებს ყველასგან,
მოხვეჭილი აქვს სახელი.
შესრულებისა კი რა გითხრათ,
არ დაადგება საშველი!

წელიწადს ნაღდათ გატარებს
(ეს უმცირესი ხანია),
უნდა უცადო რას იზამს,
აბა, რა მეტი ჯანია!

მოგვი.

# „კამეჩი მყავდა ნიკორა"...

(„კროკოდილიდან")



რაც შეეხება ჩვენი ფაბრიკის მიერ გამოშვებულ საქონლის მა- ღალ ხარისხიანობას, მოგახსენებთ რომ...



...რომ...

...რომ...



...რომ...

...ბეწვით მომაკიდებინეთ!..

# ტფილისის ქრონიკა

— ტფ. გაოე უბნებში ქურდობის შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით მეეზოვეთა უმრავლესობამ გადაწყვი ტა: იძიონ საღამოს 7 საათიდან დი ლის 7 საათამდე, რათა დასვენები სა და გამოძებნის შემდეგ საშუალება ჰქონდეთ დღით ფხიზლად „უდარაჯონ" გაქურდულ ბინებს

— სტუდენტთა ქალაქის ზოგი ერთ კორპუსში გაიხსნა ხულიგნობის კურსები კურსების ხელმძღვანე ლობენ რომანენკო, კრავჩენკო, ობო ზოვი და ა. კურსებზე მიიღება პოჭხუბარი სტუდენტი, რომელსაც აღმოაჩნდება საკმაო სტაჟი.

— 26 კ... რაიონის აღმასკომმა თანაგრძნობის დეპეშა — გაუგზავნა ამავე რაიონის ქუჩის (კიბალჩიჩ ს ზევი რკ. გზის გადაღმა) მცხოვრებ ლებს იმის გამო, რომ ამ ქუჩაზე მდგარი ტალახის გუბე გაიყინა და ღორებს საშუალება აღარ აქვთ ტალახში ბანაობის.

—მე-4 რაიონის მილიციამ „ღრმა მწუხარება" გამოსთქვა იმის გამო, რომ საბურთალოში პოთაოეშე ხულიგნების მიერ ჯენჯეროვით დაჭრილი და ნაცემია მხოლოდ ათიოდე მოქალაქე

უ—მი

# „დიდი" კაცი

ნიანგოეჯაი, ძლვხად ...
ეს ჭელიძე შოთა.
ვინაც თავის თავხედობით
ხალხი აგვიშფოთა.
საპასპორტო პუნქტს ეწვია
და გამართა ომი...
მაგრამ გამგე დემურთვიც
დახვდა. ...ოგორც ლომი.
წესრიგისკენ მოუწოდა
შეუცვლელ ფერი
მას ჰაერში გაუშეშა
მუშტი მონაღერი.
„გ... ...ის ხოშო" ჩამწარე
დაამარცხა რაკი...
„სამარცხვინოდ" ჩამოართვა
კავშირის წიგნაკი.

ს.ანჩო

ნახ. კროტკოვის.



ფუხოელი: — რა შემოვიდა მარშან ყველაზე მეტი თქვენს ქვეყანაში?
ჩინ-ლოი: — იაპონური მზიდრობა

# კულტმუშაობა

(ცაიში)

— ჩვენი ქვეყანა.—და ამაში მოზწარე ბული 3 მ-ის ... სოთ. ცაიშის —... ჩვენში. ამხანაგებ ცაიშის წარმოება, კარხონის მიერთობა და ... ცაიშის ... კულტმუშაობა ... ... ... ... ... ჩვენ ... ... ...

— ... ... ... ...—წამოიძახა ვილაცამ.

— ... ... ... ...—სამ თვეს ...

— მერე?

— ... ... ... ..., რადგან ამხანაგებო ... ... ... ... ... ... ... ...

— თუ ...—ახლა სხვამ წამოიძახა

... , ... , ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... რომელსაც ... ... ...

— ... ... ... ... გვეტყვით. —...

— ...-... ... ... ... და ...

— ... ... ახალ ... ... ...

— ... ...-... ... ... ... ... კი ... ... ... ...

... ... —წამოიძახა ვილაცამ

— ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ...

— ... ჩვენი კულტმუშაობა—წამოიძახა ...

— ...

— ...—... ... ... ... —...: ... ...

... ... ... ... ... ...

ფანისი.

# ახალდაბა

კობე ჭავიძევ, გახშიოდა
შენი ქება და დიდება.
თურმე მშვენივრად გცოდნია
თანამშრომელთა ვინება.
რა უნდა შენგან მეისრე
გიორგი ... ბატაძესა.
ხოში გქონდა და მოხსენი —
არ „გიკეთიბდა" საქმესა...
„გამოსარჩევიც" გქონია
ამბობენ თურმე დიდიო.
ხურდა ფულს ცახცლავ მგზავრებსა
ბილეთს ზედმეტად ჰყიდიო.
სადგურის „ნაჩალნიკი" ხარ
და... გაიხარე ძამია.
ღმერთმა შეგარგოს მგზავრების
ოფლ წული შეგიჭამია.

კაჭო

## ფაშისტურ „სამოთხეში“

გერმანიის ფაშისტები ალაპარაკდნენ და სამსახურში მუშაობის უფლებას უკრძალავენ იმ პირებს, რომლებიც „წმინდა სისხლის მატარებლები არ არიან“. ეს კანონი განსაკუთრებით ებრაელების წინააღმდეგ არის მიმართული.

თუ არ გაქვს „წმინდა სისხლი“
ჯიშიანი არიული
ისეირნებ ქუჩა და ჯიბე —
გამოფხეკილი, ცარიელი.

# ვ ლ ვ ა

### „პილპილები“

ხუფსა. ადგილობრივ აფთიაქში პროვიზორი ლეჟავას მიერ შემოღებულ იქნა ახალი წესი, რომლის მიხედვით წამალი მიეცემა არა ყველას, რომელიც ლეჟავას მოეწონება. ერთ კილო მაჭარი! (წიწილები უკეთ) ამ წესს ლეჟავა ხშირად ატარებს ცხოვრებაში.

ერთი წელია, რაც ეგზო-უკვლიად დიდი კლუბის გამგე, კედლის გაზეთის რედკოლეგია და კულტმუშაობის ხელმძღვანელნი ჩაითვალოს გაუქმებულად.

**ჭინკა.**

### უჭიდი დღე

კახეთ შემთხვეველ სალაროს მთავარ მოლარე ლარიში სოფლის შეძენა, მაგ ერთი კაცის ერთხელ შეუძლია ხარჯი ...... დროს ... რევოლვერის გატეხვა და მეშტრო-კარავი. ამის ... ჩადგმის დღეობაში ჩაატარებს თათრობის კამპანია. ......

**აქაური.**

### „დამატრული ტემპებით“

ხაშური. საჩხერის ფოსტის გამგის განკარგულებით დაწესებული იქნა ფოსტის მოსამსახურეთა ახალი შტატი, რომელიც შესდგება ვირთაგვებიდან. ჯერ-ჯერობით ახალ შტატში ჩარიცხულია 10-მდე ვირთაგვა რომლებიც დაჩქარებული ტემპებით აწარმოებენ დასილოსებულ სატოსტო ამანათების „დამუშავებას“

— სახაი? სახლის გამგემ დაარსა ლოთობის კურსები, კურსების მეცადინეობა სწარმოებს დღე ჩაგდებით კურსებზე კი ილებიან ისეთი პირები, რომელთაც ათი კვარტის დალევა მაინც შეუძლიათ.

**იმერელი.**

### „ბაშ. ეზმხება“

ბაშა. ბაშის კოოპ. სასადილოს გამგეს აზრად აქვს გაასუფთაოს სადილის ხარისხი ..... ნაცვლად ცხელი წყლისა, რომელიც სუფად იწოდება. დამზადება ნამდვილი კერძი, გამგის ეს გადაწყვეტა რამეს გავიგებდით, გვეგონა იქნებოდა

**კოჩი.**

## სწორი პასუხი

— სად არის ჩემი დახაჯვლის ადგილი?
— გამსახლში: წუნის გამოშვებისათვის.




— რატომ ქვია ამ რესტორანს აზიური?
— იმიტომ, რომ მისი თანამშრომლები აზიურად იქცევიან.

## სამიქაო

ქოლდეიძე და ბაციკაძე
მოიკიდეს ფეხი ჩვენში,
წისქვილები ჩააყენა
ამ მოვლენამ განსაცდელში.
გამქურდესო გაიძახის
ხან პეტრე, ხან სპირიდონი.
კაქუს სახლში არ დასტოვეს
არც მჭადი, არც ცივი ღომი.
იდლიანეს ააკოცეს
ტუფლი, სარკე, სავარცხელი,
და გურიას გაუყენეს
გასასყიდათ მისი ცხენი.
მარინესაც მიაკითხეს,
არ დააკლეს მასაც ხელი
და ქოთნიდან ამოუღეს
უმარილო ჭყინტი ყველი.
გაიცანით, ვაჟკაცია
„ჩვენი“ გრიშა, გმირთა-გმირი,
მოლაშქრეა, როგორიც ქურდი
„მებრძოლია“ დიდზე - დიდი.
ეს კაცია, რომელმაც რომ
არ დასტოვა ქვაბში ღომი;
მის „გმირობას“, „ვაჟკაცობას“
უკვე იცნობს სოფლის კომი.

**სამიქაველი**

## გოდორი

ბ—ელის (კაბარი) თქვენს ლექსში აღნიშნულ მოვლენაზე ყურადღების მისაქცევად ვერ მოგვყავს მხოლოდ ლექსის დასაწყისი

კახეთში ტექნიკუმს განაგებს
ჩაჩიბაია არჩილი. —
უშველეთ! სკოლის ფულები
ყანყრატოში აქვს გაჩრილი.

თუ ეს მართალია, მაშინ ამაოა თქვენი მოწოდება არჩილს მუშვლეხინის მიერ ვერავინ უშველის.

**გოგის** (აჭარა) თქვენი ლექსი ძალიან თანწოდებით იწყება:

წაიკითხეთ
ეს ამბავი
ქეთო, ნატო, ციცინო,
თუ გინდათ რომ
ყველამ ერთად
იხარხაროთ, იცინოთ!

ვცადეთ, გავიცინოთ და წავიკითხეთ; გვეგონა რამეს გავიგებდით, გვეგონა იქნებოდა მასში იუმორი ან სატირა, მაგრამ შინაარსი მისი ვერ გავიგეთ და დროს დაკარგვამ ბევრი გვაწყინა.

**ტიტიკოს** (აჭარა) თქვენს ლექსში უფრო „დინამიური“ აღმოჩნდა ერთი ადგილი, რომელშიაც იმიტი ეფროსინეზე არის ლაპარაკი

ერთხელ ჩვენი ეფროსინე
წვირემ ძალზე შეაწუხა,
აბანოსკენ გაეშურა,
არც კი ნახა ხონა, ცუცა.
აბანოს კარს რომ მიადგა
და ვანაში თავი სტყუცა,
თბილი წყალი იამა და
ათამაშდა, აზუნტრუცდა.

თქვენი წერილიც ამ ეფროსინესავით „ათამაშდა, აზუნტრუცდა“. — ჯანაბაში კი არა, — გოდორში.

# ნიანგი




— არაკი (იაპონიის ყოფ. სამხედრო მინისტრი. წასვლის წინ). ჩინეთის ნიადაგი უკვე საკმაოდ გაპოხიერებულია და მასზე შეიძლება გაიფურჩქნოს იაპონიის და ჩინეთის ხალხის მომავალი მეგობრობა.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68 მთავლიტი № 2408